ანტიკორუფციული ბიუროს 2024 წლის საქმიანობის ანგარიში

სარჩევი

1. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი 4

1.1. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მიზნები და ამოცანები 4

1.2. ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის უზრუნველყოფა 5

1.3. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ფინანსური მონიტორინგი 7

1.3.1. 2024 წლის პირველი იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი 7

1.3.2. 2024 წლის საარჩევნო პერიოდი 8

1.3.3. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან თანამშრომლობა 11

1.3.4. შემოწირულებების შემოწმება 12

1.3.5. განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი 13

2. თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების განცხადება 17

2.1. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსების უზრუნველყოფა 17

2.2. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების კანონთან შესაბამისობის შემოწმება 21

2.3. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი 22

3. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.. 27

4. საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია 28

4.1. ბიურო, როგორც ეროვნული კოორდინატორი 28

4.2. საერთაშორისო ორგანიზაციები და ქსელები 29

4.3. ორმხრივი საერთაშორისო ურთიერთობები 32

4.4. საერთაშორისო ვიზიტები და კონფერენციები 33

5. მამხილებლის დაცვის მექანიზმები 35

6. ეთიკა და კეთილსინდისიერება 38

7. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება 40

7.1. კორუფციის პრევენციის ღონისძიებების გაციფრულება 40

7.2. ერთიანი ანალიტიკური საინფორმაციო ბაზის შემუშავება 42

8. ინსტიტუციური განვითარება 43

8.1. სასწავლო ცენტრი და სტრატეგიული თანამშრომლობა 43

8.2. ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება 46
8.3. ფინანსური რესურსები 48
8.4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა 48

1. პოლიტიკური პარტიების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგი

1.1. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მიზნები და ამოცანები

თანასწორი, კონკურენტული და არასათანადო გავლენებისგან თავისუფალი საარჩევნო გარემოს უზრუნველსაყოფად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ანტიკორუფციული ბიურო (შემდგომში - ბიურო), თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ახორციელებს პარტიის, საარჩევნო სუბიექტისა და განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირის ფინანსური საქმიანობის კანონიერებისა და გამჭვირვალობის მონიტორინგს. ამავე მიზნით, ბიურო უზრუნველყოფს პრევენციულ ღონისძიებებს პოლიტიკური კორუფციის წინააღმდეგ.

ბიუროს საქმიანობის ეფექტიანობის ხელშეწყობის, მისი ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდის მიზნით, მარეგულირებელ კანონმდებლობაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. საკანონმდებლო ცვლილებებმა ხელი შეუწყო პოლიტიკური პარტიების ფინანსური მდგომარეობის მონიტორინგის მექანიზმებისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესებას.

თანამედროვე დემოკრატიაში პოლიტიკური პარტიების ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაა. აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო სუბიექტებისა და განცხადებული სარჩევნო მიზნის მქონე პირთა ფინანსების შესახებ სრული და ზუსტი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.

პოლიტიკური ფინანსების საკანონმდებლო რეგულირების მთავარი ამოცანაა შეიქმნას თანასწორი, კონკურენტული და არასათანადო გავლენებისგან თავისუფალი პოლიტიკური გარემო, რაც, თავის მხრივ, საჭიროებს როგორც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპთა დაცვას პოლიტიკური პარტიების მხრიდან, ისე სათანადო პრევენციული და აღსრულების მექანიზმების არსებობას ქვეყნის კანონმდებლობაში.

1.2. ანგარიშვალდებულებისა და საჯაროობის უზრუნველყოფა

ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანებით „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“, დამტკიცებულია ფინანსური ანგარიშების ფორმები, რომლებიც მოიცავს პარტიის ფინანსური საქმიანობის ყველა ძირითად კომპონენტს, ადგენს ანგარიშების წარმოდგენის პერიოდულობას და მათი გამჭვირვალობის უზრუნველყოფის წესებს. ბიურო, კანონმდებლობის შესაბამისად, უზრუნველყოფს წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების საჯაროდ ხელმისაწვდომობას როგორც ოფიციალურ ვებგვერდზე - monitoring.acb.gov.ge, ისე ინდივიდუალურად, ყველა დაინტერესებული პირისათვის.

საარჩევნო კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, ბიუროს გადაწყვეტილებით, 34 პოლიტიკურ პარტიას დაევალა წარმოედგინა 2024 წლის 1 იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის სრული ფინანსური ინფორმაცია. ბიუროს მოთხოვნის შესაბამისად, 33-მა მოქალაქეთა პოლიტიკურმა გაერთიანებამ (შემდგომში - პარტია) წარმოადგინა ფინანსური ინფორმაცია, ხოლო ერთმა პარტიამ არ შეასრულა მოთხოვნა. კერძოდ, პარტიამ „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ბიუროს არ წარუდგინა კანონის თანახმად გამოთხოვილი ფინანსური ინფორმაცია. შედეგად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებით, პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლება“ ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად.

წინასაარჩევნო კამპანიის გამჭვირვალედ წარმართვის მიზნით, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონისა და „პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგების შესახებ“ ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის 2023 წლის 25 აგვისტოს №4 ბრძანების შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტებს განესაზღვრათ საარჩევნო კამპანიის ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის გრაფიკი. კერძოდ, საარჩევნო სუბიექტებს, არჩევნების დანიშვნის დღიდან 3 კვირაში ერთხელ, ბიუროს მიერ დადგენილი ფორმით, უნდა წარმოედგინათ შესაბამისი ფინანსური ანგარიში შემდეგი პერიოდულობით:

- 2024 წლის 27 აგვისტოდან 16 სექტემბრის ჩათვლით პერიოდზე – 2024 წლის 19 სექტემბრამდე;

- 2024 წლის 17 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე – 2024 წლის 10 ოქტომბრამდე;

- 2024 წლის 8 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე - 2024 წლის 29 ოქტომბრამდე;

- 2024 წლის 27 აგვისტოდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდზე – 2024 წლის 8 ნოემბრამდე (იმ საარჩევნო სუბიექტებს, რომლებმაც, წინასწარი მონაცემებით, მიიღეს საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების საჭირო რაოდენობა);

- ინფორმაცია 2024 წლის 27 აგვისტოდან საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღის მდგომარეობით - არჩევნების შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს ერთი თვისა აუდიტორულ (აუდიტორული ფირმის) დასკვნასთან ერთად (თუ საარჩევნო კამპანიის ხარჯი არ აღემატება 10 000 (ათი ათასი) ლარს, საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს, სრული საარჩევნო პერიოდის ანგარიში წარადგინოს აუდიტორული დასკვნის გარეშე). ფინანსური ანგარიში წარმოადგინა:

- 2024 წლის 27 აგვისტოდან 16 სექტემბრის ჩათვლით - 27-მა საარჩევნო სუბიექტმა (აღნიშნული ვალდებულების მქონე ყველა სუბიექტმა);

- 2024 წლის 17 სექტემბრიდან 7 ოქტომბრის ჩათვლით - 27-მა საარჩევნო სუბიექტმა (აღნიშნული ვალდებულების მქონე ყველა სუბიექტმა);

- 2024 წლის 7 ოქტომბრიდან 26 ოქტომბრის ჩათვლით - 18-მა საარჩევნო სუბიექტმა (წარმოადგინა აქტიური სტატუსის მქონე ყველა საარჩევნო სუბიექტმა);

- 2024 წლის 27 აგვისტოდან 26 ოქტომბრის ჩათვლით - 5-მა საარჩევნო სუბიექტმა (წარმოადგინა ყველა საარჩევნო სუბიექტმა, რომელმაც, წინასწარი მონაცემებით, მიიღო საქართველოს საარჩევნო კოდექსით დადგენილი ხმების რაოდენობა);

- 2024 წლის 27 აგვისტოდან 16 ნოემბრის (საბოლოო შედეგების გამოქვეყნების დღე) ჩათვლით - 18-მა საარჩევნო სუბიექტმა (წარმოადგინა აქტიური სტატუსის მქონე ყველა საარჩევნო სუბიექტმა).

პოლიტიკური პარტიების ფინანსური ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის ხელშეწყობისთვის ბიურო პოლიტიკურ პარტიებს აქტიურ რეჟიმში უწევს საკონსულტაციო მხარდაჭერას.

კანონმდებლობის შესაბამისად, ბიურომ უზრუნველყო პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ყველა საფინანსო დეკლარაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობა ოფიციალური ვებგვერდის - monitoring.acb.gov.ge მეშვეობით.

პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობა და კონსულტაციების გაწევა მნიშვნელოვანია ბიუროს ეფექტური საქმიანობისთვის. ამ მიზნით, ბიუროსთან დასაკავშირებლად, შეიქმნა შემდეგი საკომუნიკაციო არხები:

• ელ. ფოსტა: Documents@acb.gov.ge;

• მობ.: +995 575 778 166;

• ცხელი ხაზი: 032 2 19 71 72.

1.3. 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების ფინანსური მონიტორინგი

პოლიტიკურ პარტიებს, წლიური საფინანსო დეკლარაციების წარმოდგენის ვალდებულება, ახალ უწყებაში - ანტიკორუფციულ ბიუროში, პირველად 2024 წლის იანვარში წარმოეშვათ. საარჩევნო წლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, გამჭვირვალობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ბიურომ მიზანშეწონილად მიიჩნია მონიტორინგის დამატებითი მექანიზმების გამოყენება. შედეგად, პოლიტიკურ პარტიებს დაევალათ დამატებით წარმოედგინათ დეკლარაციები 2024 წლის 1 იანვრიდან 2024 წლის 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდზე.

1.3.1. 2024 წლის პირველი იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი

ბიუროს მოთხოვნის საფუძველზე, 33-მა პარტიამ წარმოადგინა 2024 წლის პირველი იანვრიდან 26 აგვისტოს ჩათვლით პერიოდის სრული ფინანსური ინფორმაცია. აღნიშნული ინფორმაციის სისწორისა და კანონიერების შემოწმების პროცესში, ექვს

პარტიასთან მიმართებით გამოვლინდა საკითხები, რომლებიც საჭიროებდა დაზუსტებას. დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით პარტიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ახსნა-განმარტებების საფუძველზე, ბიუროს მიერ ფინანსურ ანგარიშებში გამოვლინდა რამდენიმე შეუსაბამობა. პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და საჯაროობის მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის მიზნით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების თანახმად, ბიურომ ზემოაღნიშნული ხარვეზების თაობაზე მიმართა შემდეგ პარტიებს:

- „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“;
- „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;
- „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
- „გახარია საქართველოსთვის“;
- „ელენე ხოშტარია - დროა“;
- „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“

და განუსაზღვრა 5-დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, ბიუროში შესაბამისი ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად.

ბიუროს მითითების პასუხად, ზემოაღნიშნული პარტიების მიერ ხარვეზები აღმოფხვრილ იქნა ნაწილობრივ ან საერთოდ არ იქნა აღმოფხვრილი.

1.3.2. 2024 წლის საარჩევნო პერიოდი

2024 წლის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით საარჩევნო სუბიექტად რეგისტრაცია გაიარა 27-მა პარტიამ, კერძოდ:

1. „საქართველო“;
2. „მესამე გზა“;
3. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
4. „გახარია საქართველოსთვის“;
5. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;

6. „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტია“;
7. „სამართლიანობისთვის“;
8. „ანა დოლიძე - ხალხისთვის“;
9. „თავისუფალი საქართველო“;
10. „მემარცხენე ალიანსი“;
11. „შეცვალე საქართველო“;
12. „დემოკრატთა ალიანსი“;
13. „ტრიბუნა“;
14. „მწვანეთა პარტია“;
15. „ჩვენ“;
16. „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“;
17. „ქართველ ნაციონალისტთა ერთობა“;
18. „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
19. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;
20. „ახალი პოლიტიკური ცენტრი“ – „გირჩი“;
21. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
22. „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“;
23. „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;
24. „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“;
25. „ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები“;
26. „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“;
27. „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“.

საარჩევნო სუბიექტების მიერ ბიუროში წარმოდგენილი 2024 წლის 27 აგვისტოდან კენჭისყრის დღემდე პერიოდის ფინანსური ანგარიშების სისრულის, სისწორისა და კანონიერების შემოწმების პროცესში, 5 საარჩევნო სუბიექტთან მიმართებით გამოვლინდა საკითხები, რომლებიც საჭიროებდა დაზუსტებას.

შესაბამისად, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, საარჩევნო სუბიექტებს:

- „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“;
- „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“;
- „კი ევროპას - სტრატეგია აღმაშენებელი“;
- „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“; „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“,-

ბიუროს მიერ გაეგზავნათ კითხვები დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც ძირითადად მოიცავდა ინფორმაციას ინტერნეტ-რეკლამის, საგარეო ვიზიტების, საჯარო შეხვედრების/ღონისძიებების ხარჯის შესახებ.

აღნიშნული საარჩევნო სუბიექტების მიერ, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, დამატებით იქნა წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია.

საარჩევნო წელს პოლიტიკური პარტიების მიერ განხორციელებული ფინანსური საქმიანობის კანონიერებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად ანტიკორუფციულმა ბიურომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციების, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მხარდაჭერით განხორციელებული პოლიტიკური აქტივობების დაფინანსების კანონიერების შემოწმება დაიწყო, რომლის ფარგლებშიც, სასამართლო ბრძანების საფუძველზე, გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია შესაბამისი ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან. აღნიშნულ საქმეებში ფიგურანტმა ზოგიერთმა პირმა არასათანადოდ, ხოლო, რიგ შემთხვევებში, არ ითანამშრომლეს ანტიკორუფციულ ბიუროსთან.

1.3.3. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებთან თანამშრომლობა

წინასაარჩევნო პერიოდში, ბიუროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ჩართულობით, საერთაშორისო პარტნიორებისთვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების, ასევე გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ინფორმირებული არჩევანის უზრუნველყოფის მიზნით, არაერთი შეხვედრა გაიმართა ბიუროსა და სადამკვირვებლო მისიებს შორის, კერძოდ:

- ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) მისიასთან - 20 სექტემბერს;
- ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მისიასთან - 25 სექტემბერს, 11 და 22 ოქტომბერს;
- საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მისიასთან - 25 სექტემბერს და 4 ნოემბერს;
- ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) სადამკვირვებლო მისიასთან - 24 სექტემბერს და 25 ოქტომბერს;
- არჩევნების დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპული ქსელის (ENEMO) მისიასთან - 1 ოქტომბერს და 1 ნოემბერს.

არჩევნების პერიოდთან დაკავშირებით სრულყოფილი ინფორმაციის გაზიარების მიზნით შეიქმნა საკომუნიკაციო არხი, რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ანგარიშები პერიოდულად ეგზავნებოდათ საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სადამკვირვებლო მისიებს, კერძოდ: ევროპის საბჭოს ოფისს საქართველოში (Council of Europe Office in Georgia), ევროკავშირის დელეგაციას საქართველოში (Delegation of the European Union to Georgia), გაეროს განვითარების პროგრამას (UNDP), არჩევნების დამკვირვებელ ორგანიზაციათა ევროპულ ქსელს (ENEMO), ეროვნულ-დემოკრატიულ ინსტიტუტს (NDI), ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს (OSCE/ODIHR), საერთაშორისო რესპუბლიკურ ინსტიტუტს (IRI), საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდს (IFES) და სხვა.

1.3.4. შემოწირულებების შემოწმება

საარჩევნო სუბიექტების სასარგებლოდ განხორციელებული შემოწირულებების კანონიერებისა და გამჭვირვალობის შესწავლის მიზნით, მიმდინარე წარმოების ფარგლებში, ბიურომ შეისწავლა 7 სუბიექტის სასარგებლოდ, 2024 წლის 27 აგვისტოდან 26 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდში განხორციელებული შემოწირულებების კანონიერება და გამჭვირვალობა, რა მიზნითაც შემოწმდა შემომწირველი 1102 ფიზიკური პირის ფინანსების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ:

	პოლიტიკური პარტია	სულ შემომწირველი პირი	შესამოწმებელი შემომწირველი პირი	%
1	კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა	471	466	99%
2	ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!	286	245	86%
3	ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო	265	265	100%
4	ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა	127	115	91%
5	გახარია საქართველოსთვის	59	8	14%
6	საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	15	2	13%
7	საქართველოს ლეიბორისტული პარტია	9	1	11%

1.3.5. განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე სუბიექტების ფინანსური საქმიანობის მონიტორინგი

პოლიტიკური ფინანსების უწყვეტი მონიტორინგის ფარგლებში, ბიუროს მიერ გამოვლინდა სუბიექტები, რომელთა საქმიანობაც ექცეოდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის რეგულირების ფარგლებში. შესაბამისად, ამავე ორგანული კანონის მე-7^1 მუხლის, 26^1ე მუხლისა და 34^1-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ და „ო“ ქვეპუნქტების თანახმად, ბიურომ მიიღო გადაწყვეტილებები აღნიშნული სუბიექტების მიმართ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმების გავრცელების თაობაზე, კერძოდ:

- 2024 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები გავრცელდა 2 ფიზიკურ პირზე:

1. ნიკანორი მელია;
2. ნიკა გვარამია.

- ბიუროს 2024 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები გავრცელდა 25 ფიზიკურ და 2 იურიდიულ პირზე:

➢ ფიზიკური პირები:

1. აზა გაბუნია;
2. არჩილ მჭედლიშვილი;
3. არჩილ ჟორჟოლიანი;
4. ბაკურ კვაშილავა;
5. გიორგი შაიშმელაშვილი;
6. დავით გზირიშვილი;

7. დავით ჯინჭარაძე;

8. ზურაბ ფარჯიანი; 9. თამარ მიქელაძე;

10. ირაკლი ქობალია;

11. ირინე კურტანიძე;

12. ირმა ზოიძე;

13. მათე ჩაფიჩაძე;

14. მარინე გულედანი;

15. მიხეილ მუმლაძე;

16. ნათია ხარატი;

17. ნატო სლეპაკოვა;

18. ნიკა ხომასურიძე;

19. ნინო შენგელია;

20. რევაზ აფხაზავა;

21. როლანდ შავაძე;

22. სიმონ ჯანაშია;

23. შენგელი ტოხოსაშვილი;

24. ლაშა უჩავა;

25. ლევან ცუცქირიძე;

- იურიდიული პირები:

1. ა(ა)იპ „თავისუფლების მოედანი - საქართველო“;

2. ა(ა)იპ „აღმოსავლეთ ევროპის ცენტრი მრავალპარტიული დემოკრატიისთვის“.

 2024 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებებით, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები გავრცელდა 10 ფიზიკურ და 2 იურიდიულ პირზე:

- ფიზიკური პირები:

1. ეკა გიგაური;
2. ხათუნა ლაგაზიძე;
3. ლელა ჯეჯელავა;
4. გიორგი პაპელიშვილი;
5. ნიკოლოზ შურღაია;
6. შალვა ძებისაშვილი;
7. გიორგი თაქთაქიშვილი;
8. სოფიკო ჭყონია;
9. ივანე ჭყონია;
10. გიორგი რუხაძე;

- იურიდიული პირები:

1. ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“;
2. ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებებით 37 ფიზიკურ და 4 იურიდიულ პირს დაევალა პოლიტიკური მიზნით განხორციელებული ფინანსური საქმიანობის „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, კერძოდ, საარჩევნო კამპანიის ფონდის გახსნა და შესაბამისი ფინანსური ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ბიუროში წარმოდგენა.

იმ პირთაგან, რომელთა მიმართაც, ბიუროს გადაწყვეტილებით, გავრცელდა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ ორგანული კანონის III თავით დადგენილი ნორმები (განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირები):

- 29 პირმა გახსნა საარჩევნო კამპანიის ფონდის ანგარიში და ითანამშრომლა ბიუროსთან;

- 12 პირს საარჩევნო ფონდი არ გაუხსნია – ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“, ეკა გიგაური, ხათუნა ლაგაზიძე, ლელა ჯეჯელავა, გიორგი პაპელიშვილი, ნიკოლოზ შურღაია, შალვა ძებისაშვილი, გიორგი თაქთაქიშვილი, სოფო ჭყონია, ივანე ჭყონია, გიორგი რუხაძე.

- 6-მა პირმა ბიუროში წარმოადგინა თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია – ხათუნა ლაგაზიძე, ლელა ჯეჯელავა, გიორგი პაპელიშვილი, შალვა ძებისაშვილი, გიორგი თაქთაქიშვილი, გიორგი რუხაძე.

- 6 პირს ბიუროში არ წარმოუდგენია თავიანთ პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ფინანსური ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია – ა(ა)იპ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, ა(ა)იპ „აირჩიე ევროპა“, ეკა გიგაური, ნიკოლოზ შურღაია, სოფო ჭყონია, ივანე ჭყონია.

განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირთაგან, ქვემოთ ჩამოთვლილი პირები, 2024 წლის 26 ოქტომბრის საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისათვის წარდგენილ სხვადასხვა პარტიულ სიებში, რეგისტრირებულნი იყვნენ პარლამენტის წევრობის კანდიდატებად, კერძოდ:

- ლევან ცუცქირიძე, ირაკლი ქობალია, ბაკურ კვაშილავა, მარინე გულედანი, სიმონ ჯანაშია, გიორგი შაიშმელაშვილი, ნატო სლეპაკოვა და ნინო შენგელია პოლიტიკური პარტიის „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის!“ - პარტიულ სიაში;

- ლელა ჯეჯელავა - პოლიტიკური პარტიის „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ - პარტიულ სიაში;
- ივანე ჭყონია და ნიკანორი მელია - პოლიტიკური პარტიის „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ - პარტიულ სიაში. ამასთანავე, ნიკა გვარამია, ნიკანორი მელიასთან ერთად, იკავებდა ამავე პოლიტიკური პარტიის თავმჯდომარის პოზიციას.

ბიუროს 2024 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, განცხადებული საარჩევნო მიზნის მქონე პირად ცნობის შესახებ 2024 წლის 4 აპრილის, 27 აგვისტოს და 24 სექტემბრის გადაწყვეტილებები ძალადაკარგულად გამოცხადდა.

2. თანამდებობის პირთა ეკონომიკური ინტერესების განცხადება

2.1. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსების უზრუნველყოფა

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის (შემდგომში - დეკლარაცია) წარდგენით თანამდებობის პირი გამოხატავს თავის ანგარიშვალდებულებას როგორც სახელმწიფოს, ისე საზოგადოების წინაშე.

თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირება ერთდროულად რამდენიმე მიზანს ემსახურება, კერძოდ:

- ქონების შეძენის კანონიერებისა და კეთილსინდისიერების კონტროლს;
- სამსახურებრივი და ინტერესთა შეუთავსებლობის შემთხვევების გამოვლენასა და პრევენციას;
- ქონებრივი და ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაზრდას;
- ანგარიშვალდებულებას საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე, საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას და ა.შ.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლი განსაზღვრავს, თუ რა ვალდებულებით და რა ვადებში უნდა წარადგინოს თანამდებობის პირმა დეკლარაცია.

საქართველოში თანამდებობის პირების მიერ ქონებისა და ფინანსური რესურსების დეკლარირება წარმოებს 1998 წლიდან, მას შემდეგ, რაც 1997 წელს მიღებულ იქნა კანონი „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ (საქართველოს კანონი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“).

1998 წლიდან დღემდე დეკლარანტების რაოდენობა იზრდება, რაც მეტად ეფექტურს ხდის საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას. 2024 წლის ბოლოსთვის თანამდებობის პირთა რაოდენობა 6 300-მდე გაიზარდა.

- ➢ თანამდებობის პირი დეკლარაციას წარადგენს:
- • თანამდებობაზე განწესებიდან 2 თვის ვადაში;
- • თანამდებობაზე ყოფნისას, ყოველწლიურად, წინა დეკლარაციის წარდგენის თვის შესაბამისი თვის განმავლობაში;

- ➢ ყოფილი თანამდებობის პირი:
- • თანამდებობის დატოვებიდან 2 თვის ვადაში;
- • თანამდებობის დატოვების მომდევნო წელს, წინა დეკლარაციის წარდგენის თვის შესაბამისი თვის განმავლობაში;

- ➢ მოსამართლეობის კანდიდატი:

მოსამართლის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად/ასარჩევად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე კანდიდატად რეგისტრირებულმა პირმა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული საჩივრის განხილვის ვადის გასვლიდან 3 სამუშაო დღეში უნდა შეავსოს და წარადგინოს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია.

2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში დეკლარაცია წარადგინა 54-მა მოსამართლეობის კანდიდატმა.

- ➢ პარლამენტის წევრობის კანდიდატი:

პარლამენტის წევრობის კანდიდატი დეკლარაციას წარადგენს მატერიალური, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი გამარტივებული ფორმით, კანდიდატად რეგისტრაციიდან 1 კვირის ვადაში.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებში დეკლარაცია წარადგინა კანდიდატად რეგისტრირებულმა 1017-მა პირმა 18 პოლიტიკური პარტიიდან, კერძოდ: არჩევნებში მონაწილეობდა 18 საარჩევნო სუბიექტი:

1. „საქართველოს ევროპელი დემოკრატები“;

2. „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“;
3. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;
4. „გირჩი“
5. „გახარია საქართველოსთვის“;
6. „მემარცხენე ალიანსი“;
7. „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია, მელია, გირჩი, დროა“;
8. „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“;
9. „ძლიერი საქართველო-ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“;
10. „შეცვალე საქართველო“;
11. „საქართველო“;
12. „ჩვენი გაერთიანებული საქართველო“;
13. „ჩვენ“;
14. „ქართული ერთობა“;
15. „ტრიბუნა“;
16. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“;
17. „თავისუფალი საქართველო“;
18. „საქართველოს ერთობისა და განვითარების პარტია“.

პარლამენტის წევრობის კანდიდატის დეკლარაცია არ წარადგინა 5-მა პირმა, კერძოდ:

- პარტიიდან: „ძლიერი საქართველო - ლელო, ხალხისთვის, თავისუფლებისთვის“ – 1-მა პირმა;
- პარტიიდან: „გახარია საქართველოსთვის“ – 2-მა პირმა;
- პარტიიდან: „კოალიცია ცვლილებისთვის გვარამია მელია გირჩი დროა“ – 2-მა პირმა,-

რაზეც ბიუროს მხრიდან განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და აღნიშნული პირების მიმართ, კანონის შესაბამისად, გამოიცა განკარგულებები დაჯარიმების შესახებ.

ასევე, თანამდებობის პირს, დეკლარაციის წარდგენის ვალდებულება წარმოეშობა დეკლარაციის კანონით დადგენილ ვადაში წარუდგენლობისთვის ჯარიმის დაკისრების თაობაზე გამოცემული განკარგულების ან სასამართლო გადაწყვეტილების (განჩინების) კანონიერ ძალაში შესვლიდან 2 კვირის ვადაში;

დეკლარირების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს დეკლარაციის სწორად და სრულად შევსების მიზნით, თანამდებობის პირისთვის კონსულტაციის გაწევა, რაც ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით:

- ელ. ფოსტა: info@acb.gov.ge;
- მობ.: +995 575 778 166;
- ბიუროს ცხელი ხაზი: 032 2 19 28 28.
- ონლაინ დახმარება.

2024 წლის განმავლობაში დეპარტამენტის ცხელ ხაზზე დეკლარაციის შევსებასთან დაკავშირებით სულ განხორციელდა 17825 ზარი, აქედან 7576 შემოსული და 10249 გასული. ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით ბიუროს მიმართა 895-მა პირმა.



2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია ელექტრონულად წარადგინა 6970-მა პირმა, კერძოდ:

- თანამდებობაზე დანიშვნის ვალდებულებით - 458 პირმა;
- ვადამოსული ვალდებულებით - 5899 თანამდებობის პირმა;
- გათავისუფლების ვალდებულებით - 225 ყოფილმა თანამდებობის პირმა;
- ვადამოსული ვალდებულებით - 334 ყოფილმა თანამდებობის პირმა;
- კანდიდატად დასახელების ვალდებულებით - 54 მოსამართლეობის

კანდიდატმა.



აღნიშნული ვალდებულებების დარღვევისთვის ბიუროს მიერ დაჯარიმდა - 7 პირი.

2.2. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების კანონთან შესაბამისობის შემოწმება

მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების მიმართულებით 1998 წლიდან არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, აღსანიშნავია, რომ 2024 წლამდე არ არსებობდა მექანიზმი, რომელიც მინიმუმამდე დაიყვანდა დეკლარაციის შევსებისას დაშვებულ ტექნიკურ შეცდომებს.

ბიუროს მიერ ჩატარებული სიტუაციური ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ დეკლარაციების უარყოფითად შეფასების საფუძველთა აბსოლუტური უმრავლესობა მისი შევსებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი იყო. შედეგად, 2024 წლის 29 მაისს, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელდა ცვლილებები (ამოქმედდა 2024 წლის 9 სექტემბერს), რომლის თანახმადაც, თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია გამოქვეყნებამდე ექვემდებარება შემოწმებას, კერძოდ, ხდება დეკლარირებული მონაცემების სახელმწიფო უწყებების მიერ ადმინისტრირებულ სხვადასხვა ბაზებში და რეესტრებში არსებულ ინფორმაციასთან შედარება, ასევე, შევსებული დეკლარაციის კანონთან შესაბამისობის დადგენა. ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში თანამდებობის

პირს ეძლევა შესაძლებლობა აღმოფხვრას ის კანონით დადგენილ ვადებში, რის შემდეგაც, დაკორექტირებული დეკლარაციის საჯაროობას უზრუნველყოფს ბიურო.

ცვლილების მიხედვით, ადმინისტრაციული წარმოების მაქსიმალური ვადაა ორი თვე, საიდანაც ერთი თვე განსაზღვრულია დეკლარაციის შემოწმებისთვის, ერთი კი - ხარვეზის აღმოფხვრისთვის.

დეკლარაციის შემოწმებისა და ხარვეზის აღმოფხვრის პროცედურა პირს არ ათავისუფლებს თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზის არსებობისთვის კანონით დადგენილი პასუხისმგებლობისგან.

„კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული კიდევ ერთი ცვლილების თანახმად, ბიუროს მიერ დეკლარაციის მონიტორინგის საფუძვლებს დაემატა დეკლარაციის შემოწმებისას აღმოჩენილი ხარვეზის განსაზღვრულ ვადაში აღმოუფხვრელობა.

2024 წლის 9 სექტემბრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით შემოწმდა 1562 დეკლარაცია. აქედან ხარვეზი დაუდგინდა 1040 დეკლარაციას, რომლებიც სრულად აღმოიფხვრა დეკლარანტების მიერ, აღნიშნული კი ადასტურებს ახლადდანერგილი შემოწმების მექანიზმის ეფექტიანობას. ახალი შემოწმების სისტემის დანერგვამ დეკლარაციები მათი სისწორის პრეზუმფცირებამდე მიიყვანა.

2.3. თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგი

დეკლარაციის მონიტორინგის მიზანია თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ მის მიერ დეკლარირებული მონაცემების სისრულისა და სისწორის შემოწმება, ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციულ სამართალდარღვევათა გამოვლენა და პრევენცია. დეკლარაციის მონიტორინგის დაწყების საფუძველია:

- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების ერთიანი ელექტრონული სისტემის მიერ თანამდებობის პირების შემთხვევითი შერჩევა (საერთო რაოდენობის 5%);

- დასაბუთებული წერილობითი განცხადება;

- ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის მიერ შერჩეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული თანამდებობის პირები (საერთო რაოდენობის 5%);
- დეკლარაციების შემოწმების დროს, თანამდებობის პირის მიერ ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, შესაბამისი დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი.

ზემოაღნიშნული საფუძვლებით 2024 წელს სულ შეირჩა 668 თანამდებობის პირი, აქედან:

- 2024 წლის 12 იანვარს, დამოუკიდებელი კომისიის მიერ, მონიტორინგისთვის შეირჩა 300 თანამდებობის პირი, რაც შეადგენს, თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%-ს, საიდანაც 1/2 შეირჩა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირებიდან, ხოლო 1/2 – განსაკუთრებული ფაქტორების: განსაკუთრებული კორუფციული რისკის, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესისა და განხორციელებული მონიტორინგით გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით.

- 2024 წლის 13 თებერვალს, დეკლარაციის მონიტორინგის ელექტრონული სისტემის მიერ, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის საფუძველზე შეირჩა თანამდებობის პირთა საერთო რაოდენობის 5%, 332 თანამდებობის პირი.

- ბიუროში დასაბუთებული წერილობითი განცხადების საფუძველზე მონიტორინგი დაიწყო 36 თანამდებობის პირზე.



- მონიტორინგის დაწყების საფუძვლებით შერჩეული თანამდებობის პირებიდან, მონიტორინგს დაექვემდებარა 658 პირი.

- არ დაწყებულა მონიტორინგი 10 დეკლარაციის მიმართ, კერძოდ:

- 4 დეკლარაციის მონიტორინგი შეჩერებულია სასამართლოს გადაწყვეტილებით.

- 6 თანამდებობის პირს 2024 წელს დეკლარაცია ჩაბარებული არ ჰქონდა/არ იყო თანამდებობის პირი „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისთვის.

- 2024 წელს მონიტორინგი დასრულდა 353 პირის მიმართ, აქედან:

- 319 შემთხვევაში მონიტორინგი დასრულდა დადებითი შედეგით;

- 34 შემთხვევაში მონიტორინგი დასრულდა უარყოფითი შედეგით.



2024 წელს დაწყებული მონიტორინგიდან მიმდინარეა იმ თანამდებობის პირთა დეკლარაციების მონიტორინგი, რომლებსაც დეკლარაციების შევსების ვალდებულება წარმოეშვათ 2024 წლის ბოლო სამ თვეში (ოქტომბერი, ნოემბერი, დეკემბერი); კანონში განხორციელებული ცვლილების შესაბამისად, თანამდებობის პირის მიერ წარდგენილი დეკლარაცია გადის კანონთან შესაბამისობის შემოწმების ორთვიან წარმოებას და ნაცვლად 48 საათისა, დეკლარაცია ქვეყნდება შევსებიდან 2 თვის თავზე. ვინაიდან მონიტორინგს ექვემდებარება გამოქვეყნებული დეკლარაცია, აღნიშნულმა ცვლილებამ გამოიწვია დეკლარაციების გარკვეული ნაწილის მონიტორინგის პროცესის გადასვლა 2025 წელს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მონიტორინგის დაწყების ერთ-ერთი საფუძველია ანტიკორუფციული ბიუროს უფროსის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილებით შერჩეული „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირები და განსაკუთრებული ფაქტორების გათვალისწინებით შერჩეული თანამდებობის პირები. 2024 წლის 24 ოქტომბერს, ბიუროს უფროსის ბრძანებით, განისაზღვრა წლის განმავლობაში შესამოწმებელ თანამდებობის პირთა შერჩევისათვის დამოუკიდებელი კომისიის შექმნის მიზნით, განცხადებებისა და შესაბამისი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენის თარიღი და კომისიაში გაწევრიანების

პირობები, რის შესახებაც საჯაროდ განთავსდა ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია (იხ. https://shorturl.at/Kc5W4).

მიუხედავად ბიუროს მიერ გაწეული ძალისხმევისა, აღნიშნული კომისია ვერ შედგა. არცერთი განაცხადი არ იქნა მიღებული. კომისიის შექმნას გააჩნია წინაპირობები, რასაც კანდიდატები უნდა აკმაყოფილებდნენ. ეს წინაპირობებია:

 არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში:

ა) ორგანიზაციამ კომისიის წევრობის კანდიდატად უნდა წარმოადგინოს მხოლოდ ერთი წევრი, რომელიც არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი/მართვის ორგანოს წევრი ან ორგანიზაციის მიერ სპეციალურად უფლებამოსილი პირი;

ბ) ორგანიზაციის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმით რეგისტრაციის მომენტიდან გასული უნდა იყოს არანაკლებ 5 წელი;

გ) ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს ოფიციალური ვებგვერდი, სადაც შესაძლებელია მისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გაცნობა;

დ) ორგანიზაციის მიერ დაფუძნების მომენტიდან განხორციელებული პროექტები/პროგრამები/საქმიანობა უნდა მოიცავდეს თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციების მონიტორინგის/შემოწმების კომპონენტებს;

ე) ორგანიზაციის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლის სამართლის საქმისწარმოება/არ არსებობდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი. აკადემიური წრის წარმომადგენლის შემთხვევაში:

აუცილებელია არსებობდეს მის მიერ განხორციელებული კვლევა, რომელიც მოიცავს ანტიკორუფციულ საკითხებს.

 გარდა ზემოაღნიშნულისა, არასამთავრობო ორგანიზაციისა და აკადემიური წრის წარმომადგენელი კომისიაში გაწევრიანების კანდიდატი:

ა) არ შეიძლება იყოს სახელმწიფო ან საჯარო მოსამსახურე;

ბ) არ უნდა იყოს „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით გათვალისწინებული თანამდებობის პირის ოჯახის წევრი ან/და ახლო ნათესავი;

გ) მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს სისხლისსამართლებრივი დევნა/არ არსებობდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

დ) ერთი და იგივე პირი კომისიის წევრად არ შეიძლება არჩეულ იყოს ზედიზედ 2ჯერ.

აღნიშნული წინაპირობების გაანალიზებითა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ 2024 წელს ვერ შედგა კომისია, რამაც გამოიწვია 2025 წელს მონიტორინგს დაქვემდებარებულ პირთა წრის სიმცირე, ასევე, კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფისა (GRECO) და გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის (UNCAC) მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად, ბიურომ დაიწყო მუშაობა, მონიტორინგის დაწყების საფუძვლების ეფექტიანობის გაზრდის მიმართულებით. აღნიშნული კუთხით მნიშვნელოვანია შემუშავდეს და დაინერგოს რისკების შეფასებაზე დაფუძნებული შერჩევის პროცედურა, რაც გაზრდის ბიუროს ეფექტიანობას და უზრუნველყოფს შედეგზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას.

3. ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა

2024 წელს ბიუროს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას წარმოადგენდა ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავება/განახლება. „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[15] მუხლით განსაზღვრული ამ უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებაზე დამოკიდებულია ქვეყანაში კორუფციის პრევენციის მექანიზმების გაძლიერება. სწორედ ამ დოკუმენტში უნდა იყოს თავმოყრილი მიზნები და ამოცანები, რომელთა იმპლემენტაციაც უზრუნველყოფს ბიუროსა და სახელმწიფო უწყებების ეფექტიანი კოორდინირებული მუშაობის შედეგად, კორუფციის პრევენციის მექანიზმების დანერგვას და გაძლიერებას.

შესაბამისად, ბიურო, „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მუშაობს ეროვნული

ანტიკორუფციული სტრატეგიის განახლებასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე. ამ პროცესში ბიურომ ჩაატარა ის ძირითადი სამუშაოები და კვლევები, რაც საფუძვლად უნდა დაედოს შედეგზე ორიენტირებული სტრატეგიისა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმის ფორმირებას. სიტუაციური ანალიზის ფარგლებში შესწავლილ იქნა საერთაშორისო ორგანიზაციების - გაეროს ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ბიუროს (UNODC), კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO), MONEYVAL, მსოფლიო ბანკის და ა.შ., დასკვნები და რეკომენდაციები, ასევე, ეროვნულ დონეზე სახელმწიფო უწყებების, აკადემიური წრეებისა და სხვა რელევანტური ანგარიშები. ამასთან, გაანალიზდა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 4 ოქტომბრის №484 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები.

განხორციელებული კვლევების საფუძველზე იდენტიფიცირებულ იქნა ის სტრატეგიული მიმართულებები, რომელთა განახლებულ სტრატეგიასა და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმაში ასახვა კიდევ უფრო გააძლიერებს პრევენციულ მექანიზმებს ქვეყანაში. ეს მიმართულებებია: კორუფციული რისკების შეფასება, კეთილსინდისიერება და ეთიკა, მხილება, ინტერესთა კონფლიქტების მართვა, თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის მონიტორინგი და ა.შ. კვლევების შედეგად, შესაძლოა გამოვლინდეს დამატებითი მიმართულებები, რომლებიც საჭიროებს რესურსების მიმართვას და შესაბამისი საპასუხო ღონისძიებების გათვალისწინებას ანტიკორუფციული პოლიტიკის დოკუმენტებში.

4. საერთაშორისო თანამშრომლობა და უწყებათაშორისი კოორდინაცია

4.1. ბიურო, როგორც ეროვნული კოორდინატორი

კანონის თანახმად, ბიურო არის საერთაშორისო ანტიკორუფციულ საკითხებში საქართველოს ეროვნული კოორდინატორი.

ამ ფუნქციას ბიუროში ასრულებს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი, რომლის ძირითადი ამოცანებია: საერთაშორისო ორგანიზაციებთან ანგარიშგება; კომპეტენციის ფარგლებში სახელმწიფოთა შეფასებასა და მონიტორინგში მონაწილეობა; საერთაშორისო ორგანიზაციებსა და შესაბამის საერთაშორისო

ქსელებში გაწევრიანების მიზნით მოლაპარაკებების წარმოება; სათანადო ღონისძიებების განხორციელება და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობა.

კანონის თანახმად, ბიუროს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას ამ მიმართულებით წარმოადგენს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტების, საქართველოსა და სხვა ქვეყნების გამოცდილების, მათი სამართლისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების მიდგომების, მოსაზრებებისა და დასკვნების გამოკვლევა და გაანალიზება.

4.2. საერთაშორისო ორგანიზაციები და ქსელები

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ქსელებთან აქტიური თანამშრომლობა ბიუროს საშუალებას აძლევს უშუალოდ ჩაერთოს გლობალური ინიციატივებისა და პროგრამების განხორციელებაში, ასევე, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების გზით ხელი შეუწყოს საქართველოს ანტიკორუფციული სამართლებრივი ჩარჩოს ევროკავშირის სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პროცესს.

კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) იმპლემენტაცია

კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის (UNCAC) იმპლემენტაცია სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი ამოცანაა, რადგან აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს საყოველთაოდ რატიფიცირებულ ერთადერთ უნივერსალურ ინსტრუმენტს.

2024 წლის 5-7 ნოემბერს, თბილისში, გაიმართა კონვენციის შესრულების შეფასების მექანიზმით გათვალისწინებული სახელმწიფო ვიზიტი (country visit). შეხვედრას ესწრებოდნენ UNODC-ის სამდივნოს წარმომადგენლები; შემფასებელი წევრი ქვეყნების: ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკისა და მალაიზიის დელეგაციის წევრები, საქართველოს შესაბამისი 31 უწყება, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აკადემიური წრეების წარმომადგენლები.

ვიზიტი გაეროს კონვენციის (UNCAC) შესრულების შეფასების მე-2 ციკლის ფარგლებში განხორციელდა, რომელიც მოიცავს ორ მიმართულებას: პრევენციულ მექანიზმებს (preventive measures) და ქონების დაბრუნებას (asset recovery).

ბიუროს კოორდინაციით განახლდა 2020 წელს წარდგენილი თვითშეფასების დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც 31 უწყებას გაეწია ინდივიდუალური კონსულტაცია. ამ პერიოდის განმავლობაში თითოეული უწყება აქტიურად იყო ჩართული დელეგაციასთან თანამშრომლობაში.

კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) იმპლემენტაცია

საქართველო კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (შემდგომში - GRECO) GRECO-ს ერთ-ერთი დამფუძნებელი ქვეყანაა და 1999 წლიდან დღემდე მისი წევრია, ამ ორგანიზაციის რეკომენდაციების შესრულების მაჩვენებლის მიხედვით კი ერთერთ მოწინავე სახელმწიფოს წარმოადგენს. 2024 წელს GRECO-ს 3 პლენარული სხდომა გაიმართა. შეფასების მე-4 რაუნდის 16 რეკომენდაციიდან შესრულდა 15 რეკომენდაცია, საიდანაც სრულად შესრულებულად ჩაითვალა 9, ხოლო ნაწილობრივ შესრულებულად - 6. შესრულების მაჩვენებლით საქართველო უსწრებს შემდეგ ქვეყნებს: საფრანგეთი, პოლონეთი, იტალია, უკრაინა, მოლდოვა, ბოსნია და ჰერცეგოვინა, მალტა, სლოვაკეთი, სომხეთი, ბელგია, დანია. რაც შეეხება GRECO-ს შეფასების მე-5 რაუნდს, აღნიშნული 2 ეტაპისგან შედგება. პირველ ეტაპზე შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, ხოლო მომდევნო ეტაპი ითვალისწინებს მათი შესრულების შეფასებას.

ამ ეტაპზე ბიურო აქტიურად მუშაობს მე-5 რაუნდის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულებაზე შესაბამის უწყებებთან კოორდინაციის მეშვეობით.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელი (EPAC)

ბიურო 2022 წლიდან არის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპელ პარტნიორთა ქსელის (EPAC) (შემდგომში - EPAC) წევრი. 2024 წლის 20 ივნისს, ბიუროს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო EPAC-ის ფარგლებში დაორგანიზებულ 21-ე საერთაშორისო ანტიკორუფციულ კონფერენციაში, რომელიც გაიმართა ლიეტუვაში, ქალაქ ვილნიუსში. ასევე, ბიურო მონაწილეობას იღებს EPAC-ის ფარგლებში განხორციელებულ სხვადასხვა აქტივობებსა და კონფერენციებში.

კეთილსინდისიერებისა და მამხილებელთა დაცვის უწყებათა ევროპული ქსელი

(NEIWA)

2024 წელს ბიურო კეთილსინდისიერებისა და მამხილებელთა დაცვის უწყებათა ევროპულ ქსელში (NEIWA) (შემდგომში - NEIWA) გაწევრიანდა. აღნიშნული პლატფორმა წევრ უწყებებს საშუალებას აძლევს გაცვალონ საუკეთესო პრაქტიკა მამხილებლის ინსტიტუტის გაძლიერების მიზნით. აღსანიშნავია, რომ ქსელში მხოლოდ ევროკავშირის წევრი ქვეყნების უწყებები არიან გაერთიანებულნი, საქართველო კი ერთადერთი ქვეყანაა, რომელიც მოცემული ქსელის სრულუფლებიანი წევრი გახდა, როგორც ევროკავშირის წევრობის კანდიდატი სახელმწიფო. ქსელის ფარგლებში, ბიურო აქტიურად არის ჩართული სხვადასხვა აქტივობებში, როგორებიცაა: პანელური დისკუსიები, კვლევები, კონფერენციები და ა.შ.

კეთილსინდისიერების ქსელი (Network for Integrity)

ბიურო კეთილსინდისიერების ქსელის წევრია 2023 წლიდან. 2024 წლის 9 დეკემბერს, კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნად, კეთილსინდისიერების ქსელის (Network for Integrity) ორგანიზებით გაიმართა პანელური დისკუსია, თემაზე: „ხელოვნური ინტელექტის როლი კორუფციასთან ბრძოლაში და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობაში“, ზუმის პლატფორმის მეშვეობით. პანელის მონაწილეებმა განიხილეს საჯარო პოლიტიკა და მარეგულირებელი ჩარჩოები, რომლებიც საჭიროა ხელოვნური ინტელექტის ეთიკურად და ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობისთვის კორუფციასთან ბრძოლაში. პანელურ დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო ბიუროს ერთმა თანამშრომელმა. შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ კეთილსინდისიერების ქსელის წევრი ქვეყნების წარმომადგენლები.

ანტიკორუფციული ორგანოების საერთაშორისო ასოციაცია (IAACA)

2024 წელს ბიურო ანტიკორუფციული ორგანოების საერთაშორისო ასოციაციაში (IAACA) გაწევრიანდა.

ქსელი შეიქმნა კორუფციის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის (UNCAC) ეფექტური მუშაობის ხელშეწყობისთვის. მასში 170-ზე მეტი ქვეყანაა გაწევრიანებული აზიის, ევროპის, ამერიკისა და აფრიკის კონტინენტებიდან.

4.3. ორმხრივი საერთაშორისო ურთიერთობები

ორმხრივი საერთაშორისო ურთიერთობები მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომელიც ბიუროს აძლევს საშუალებას, განავითაროს საუკეთესო პრაქტიკები, გააძლიეროს ინსტიტუციური შესაძლებლობები და გამოიყენოს გლობალური გამოცდილება, რათა უფრო ეფექტურად უპასუხოს კორუფციის გამოწვევებს. ამასთან, მსგავსი ფორმატები საშუალებას იძლევა, უცხოელ პარტნიორებს, კონსტრუქციული დიალოგის ფარგლებში, მიეწოდოთ ობიექტური და ამომწურავი ინფორმაცია.

2024 წლის განმავლობაში, ბიუროს წარმომადგენლებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი შეხვედრები სხვადასხვა ქვეყნის უწყებების წარმომადგენლებთან და მაღალი თანამდებობის პირებთან:

- 17 იანვარს შეხვედრა გაიმართა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის კოორდინატორთან გლობალურ ანტიკორუფციულ საკითხებში. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ აშშ-ს ადმინისტრაცია მხარს დაუჭერს საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროს კორუფციასთან ბრძოლის კუთხით გასატარებელი რეფორმების ეფექტურად განხორციელების პროცესში.

- 12 თებერვალს შეხვედრა გაიმართა ადამიანის უფლებებისა და მმართველობის საკითხებში აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ადმინისტრატორის თანაშემწესთან. შეხვედრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო თანამედროვე ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის მნიშვნელობის განხილვას კორუფციასთან ბრძოლის პროცესში.

- 28 თებერვალს შეხვედრა შედგა ევროკომისიის სამეზობლო და გაფართოების მოლაპარაკებების გენერალური დირექტორატის (DG NEAR) წარმომადგენლებთან.

- 1 მარტს შეხვედრა გაიმართა მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლებთან.

- 19 მარტს გაიმართა შეხვედრა ევროპის საბჭოს არჩევნებზე დაკვირვებისა და მხარდაჭერის განყოფილების წარმომადგენლებთან.

- 19 აპრილს შეხვედრა გაიმართა ინგლისური სამართლის ფორუმის წარმომადგენლებთან, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასთან თანამშრომლობის ფარგლებში, სადაც განხილულ იქნა სასამართლო სისტემაში თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების შევსებისა და მონიტორინგის საკითხები საქართველოსა და დიდ ბრიტანეთში არსებულ მოდელებზე დაყრდნობით.

- 22 აპრილს შეხვედრა გაიმართა USAID-ის დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და მმართველობის ოფისის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელთან.

- 19 ივნისს მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს ანტიკორუფციულ ბიუროსა და უზბეკეთის რესპუბლიკის ანტიკორუფციულ სააგენტოს შორის.

- 4 დეკემბერს შეხვედრა გაიმართა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან.

4.4. საერთაშორისო ვიზიტები და კონფერენციები

საერთაშორისო ურთიერთობების შენარჩუნებისა და გაძლიერების მიზნით, ბიურო აწყობს შეხვედრებს როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა უწყებებთან და კორუფციასთან ბრძოლაში გამოცდილ პირებთან:

- 8 მარტს ბიუროს წარმომადგენლები სამუშაო ვიზიტის ფარგლებში იმყოფებოდნენ გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში, ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ანტიკორუფციულ საკითხებზე კვლევითი საქმიანობის და სამომავლო თანამშრომლობის დასაგეგმად.

- 30 მარტს ბიუროს ორგანიზებით, საქართველოში, ქალაქ თბილისში, ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია - „კორუფციის პრევენცია: ანტიკორუფციული რეფორმა საქართველოში და საერთაშორისო პრაქტიკა“. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს EPAC-ის წევრებმა, მათ შორის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ლიეტუვის რესპუბლიკის, ესპანეთის სამეფოსა და მოლდოვის რესპუბლიკის ანტიკორუფციული ბიუროების წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე განხილულ იქნა ანტიკორუფციული რეფორმა საქართველოში, მიღწეული პროგრესი და ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმების, მამხილებელთა დაცვის, კორუფციული რისკების შეფასებისა და პრევენციული მექანიზმების შესახებ.

კონფერენცია ჩატარდა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მხარდაჭერით და გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ) პროექტის დაკვეთით „კარგი ფინანსური მმართველობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (GFG) პროექტის მხარდაჭერით.

ღონისძიების ფარგლებში ანდალუსიის თაღლითობასთან ბრძოლის ოფისსა (OAAF) და ბიუროს შორის სამომავლო თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმს მოეწერა ხელი.

- 20 ივნისს ბიუროს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ლიეტუვაში, ქალაქ ვილნიუსში გამართულ 21-ე საერთაშორისო ანტიკორუფციულ კონფერენციაში, რომელიც არის მსოფლიოში მთავარი გლობალური ფორუმი და აერთიანებს სახელმწიფოთა მაღალი დონის თანამდებობის პირებს, სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს, რათა ერთობლივად იქნეს დაძლეული კორუფციასთან დაკავშირებული გამოწვევები. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრა გაიმართა ლიეტუვის რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან და დაიგეგმა შემდგომი თანამშრომლობის ნაბიჯები.

- 24 ივნისს ბიუროს დელეგაცია დაესწრო მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის გლობალურ ფორუმს - „ინკლუზიური და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა“. შეხვედრის მიზანი იყო დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრისთვის დიალოგისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის როლის, როგორც განვითარების არსებითი ელემენტის, გამოსაკვეთად.

- 1-5 ივლისის პერიოდში, GIZ-თან თანამშრომლობით, ჰააგაში ჩატარდა საზაფხულო სკოლა ეთიკისა და კეთილსინდისიერების თემაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს და საერთაშორისო პარტნიორებისთვის პრეზენტაცია ჩაატარეს ბიუროს წარმომადგენლებმა საქართველოში ანტიკორუფციული რეფორმების შესახებ.

- 19 ნოემბერს საფრანგეთში, ქალაქ სტრასბურგში, ჩატარდა კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფის (GRECO) 98-ე პლენარული სხდომა, სადაც გაიმართა მოსმენა საქართველოში წინასაარჩევნო გარემოსა და ბიუროს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

- ბიურო, საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, აქტიურად იყო ჩართული ევროკავშირის გაფართოების ანგარიშის მომზადებისთვის საჭირო რეგიონულ კვლევებში. კერძოდ, გაიმართა არაერთი შეხვედრა GIZ და OECD/SIGMA-ს ექსპერტებთან, სადაც შემუშავდა მეთოდოლოგია ევროკომისიის გაფართოების სამომავლო ანგარიშისთვის. ამ მიზნით შეხვედრები და მოლაპარაკებები გაიმართა თბილისში, პარიზსა და ბრიუსელში.

- 17 ივნისს საქართველოში ვიზიტით იმყოფებოდნენ უზბეკეთის დელეგაციის წარმომადგენლები. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით საქართველოს პრაქტიკის გაზიარება და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით თანამშრომლობის გაძლიერება.

- 17 ოქტომბერს, ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს უზბეკეთის რესპუბლიკის ქალაქ ტაშკენტში, უზბეკეთის ანტიკორუფციული სააგენტოს ორგანიზებით გამართულ მე-4 ანტიკორუფციულ ფორუმში.

- 21-24 ოქტომბერს, ბიუროს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რეგიონული შესაძლებლობების განვითარების ცენტრის მიერ ორგანიზებულ სემინარში, რომელიც გაიმართა ყაზახეთში, ალმათში.

- 25-26 ნოემბერს მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო ბიუროს წარმომადგენელმა.

5. მამხილებლის დაცვის მექანიზმები

კორუფციასთან ბრძოლა, ასევე, საჯარო სამსახურში საქართველოს კანონმდებლობის, ეთიკისა და ქცევის წესების დაცვა მნიშვნელოვანია, რათა ზიანი არ მიადგეს საჯარო ინტერესს, საჯარო დაწესებულების რეპუტაციას, გაიზარდოს საზოგადოების ნდობა

საჯარო ინსტიტუტების მიმართ და უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფოს მდგრადი განვითარება. აღნიშნული თვალსაზრისით, მხილება ქმედითი პრევენციული მექანიზმია ანტიკორუფციული რისკების გამოვლენისა და მათზე რეაგირებისთვის.

2024 წელს ცვლილება შევიდა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში, რომლის თანახმად, ბიურო უფლებამოსილია მამხილებელს სამართლებრივი ან/და ფსიქოლოგიური დახმარება გაუწიოს და მხილების ფაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია, დოკუმენტი, მტკიცებულება, მასზე რეაგირებისთვის, სათანადო ორგანოს/თანამდებობის პირს გაუგზავნოს.

2024 წლის განმავლობაში აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბებაზე. მამხილებელთა დაცვის შესახებ ევროკავშირის დირექტივის (2019/1937), GRECO-ს რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, შემუშავდა პოტენციური მამხილებლის მხარდაჭერის მექანიზმები და ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო აქტივობები.

მამხილებლის სამართლებრივი დახმარების ნაწილში, ბიუროს საქმიანობა მოიცავს მამხილებლისათვის როგორც სამართლებრივი კონსულტაციის გაწევას, ისე მხილების განმხილველ ორგანოსა და სასამართლოში მის ადვოკატირებას.

ფსიქოლოგიური დახმარება გულისხმობს იმ მამხილებელთა ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებას, რეკომენდაციების გაწევას, ფსიქოლოგის მომსახურებასა და საჭიროების შემთხვევაში, რეფერირებას შესაბამისი ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრებში, რომლებიც შესაძლოა განიცდიდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას და მოითხოვენ ფსიქოლოგიურ დახმარებას.

ბიუროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია მხილების პროცესში მონაწილე იმ პირების სპეციალიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება, რომლებიც ფსიქოლოგიურ ან იურიდიულ დახმარებას გაუწევენ მამხილებლებს. ამ მიმართულებით ხორციელდება საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა შემდგომში სპეციალიზაციის სასწავლო პროგრამის შემუშავების მიზნით. აკადემიური წრეების წარმომადგენლებთან გაიმართა არაერთი შეხვედრა და დაიგეგმა მხილებასთან დაკავშირებული საკითხების სწავლების მოდულების დანერგვა უმაღლეს სასწავლებლებში.

მხილებასთან დაკავშირებული ყველა პრიორიტეტული საკითხი და მექანიზმი ინტეგრირებული იქნება მხილების ერთიან პლატფორმაში, რომელიც მოიცავს ვებგვერდის საშუალებით მხილებას. ვებგვერდის ძირითადი ფუნქციებია: ანონიმური, კონფიდენციალური და ღია მხილების შესაძლებლობა, ადაპტირებული შშმ და ენობრივი ბარიერის მქონე პირებზე, მტკიცებულებების - ფოტო/ვიდეო მასალის ატვირთვის შესაძლებლობა, იურიდიული/ფსიქოლოგიური დახმარების პროცესის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება და სხვა. აღნიშნული პლატფორმა უახლოეს მომავალში ხელმისაწვდომი იქნება საჯაროდ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საკითხის პრიორიტეტულობის გათვალისწინებით, მამხილებელთა დაცვისა და მხილების მექანიზმების გაძლიერების მიზნით, 2024 წელს, ბიურო გაწევრიანდა კეთილსინდისიერებისა და მამხილებელთა დაცვის უწყებათა ევროპულ ქსელში (NEIWA), სადაც აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა კოლეგა უწყებებთან საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. მხილების მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოებისა და საჯარო მოსამსახურეების ცნობიერების ამაღლება, რადგან ამ მექანიზმის წარმატებით მუშაობისთვის აუცილებელია საზოგადოებრივი ჩართულობა.

ბიუროს მიერ დაიდენტიფიცირდა მხილების მექანიზმების გაძლიერებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის საჭირო აქტივობები. შეიქმნა მხილების გზამკვლევი, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება როგორც ელექტრონული, ასევე მატერიალური ფორმით. გზამკვლევი მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა: მხილებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით დაცული სფეროები; მხილებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა; მხილების პროცედურა; ინფორმაცია მხილების განმხილველი კომპეტენტური ორგანოების შესახებ; მამხილებელთა უფლებებისა და დაცვის მექანიზმების ახსნა; რჩევები მამხილებლებს, მხილების შემდგომ შურისძიების ან სხვაგვარი ზეწოლის გამკლავების მიმართულებით; ფსიქოლოგიური და იურიდიული დახმარების პროცედურების ახსნა; ცნობიერების ამაღლება მხილების არსის, საზოგადოებრივი ჩართულობის მნიშვნელობისა და სხვა საკითხებზე.

შემუშავდა ცნობიერების ამაღლების მიზნით მცირე ვიდეო-რგოლების გადაღების კონცეფცია და განისაზღვრა შესაბამისი თემები. ვიდეოები განსაზღვრული იქნება სხვადასხვა ფოკუს-ჯგუფებისთვის და ძირითადად მოიცავს შემდეგ თემებს:

მხილების განმარტება, ბიუროს როლი მამხილებელთა დაცვის მიმართულებით, მხილების არხები, მამხილებელთა უფლებები და დაცვის მექანიზმები და ა.შ. აღნიშნული ვიდეოები განთავსდება ბიუროს ვებგვერდზე და სოციალურ ქსელებში.

ამასთან, ბიუროს მიერ დაიგეგმა და გაიმართა არაერთი ტრენინგი ამ მიმართულებით. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2024 წლის 12-16 აგვისტოს გამართული „ანტიკორუფციული საზაფხულო სკოლა“, რომლის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი: „მხილება საჯარო სამსახურში და გამოძიება“. ფოკუს-ჯგუფად შერჩეულ იქნენ სტუდენტები, ვინაიდან მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლება დაიწყოს მანამ, სანამ პირი პროფესიულ საქმიანობას დაიწყებს.

6. ეთიკა და კეთილსინდისიერება

საჯარო სამსახურში ეთიკური ქცევის პრინციპების დაცვის ძირითადი მიზანია კორუფციის შემთხვევების პრევენცია და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის უზრუნველყოფა. საჯარო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება და საჯარო უფლებამოსილებების კეთილსინდისიერად გამოყენება უზრუნველყოფს გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას საჯარო სექტორში, რაც ზრდის საზოგადოების ნდობას საჯარო ინსტიტუტების მიმართ.

2024 წლის აგვისტოდან ბიუროს მანდატი გაფართოვდა და მოიცავს საჯარო სამსახურში ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების საკითხების მართვას, რაც გულისხმობს ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების საკითხებზე პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავებასა და მათი შესრულების მონიტორინგს; შესაბამისი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას; საჯარო სამსახურში ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ნორმების დაცვის არსებული მექანიზმების შეფასებას, სათანადო რეკომენდაციების გაცემასა და მათი შესრულების მონიტორინგს; საჯარო მოსამსახურეთა მიერ ეთიკის ნორმების დაცვის პრაქტიკის შესწავლასა და შესაბამისი კვლევების ჩატარებას; საჯარო სამსახურში ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების ნორმების დარღვევაზე ინფორმაციის მოძიების მეთოდოლოგიის შემუშავებას; საჯარო სამსახურში კეთილსინდისიერების რისკების შეფასებას; საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელებას; საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის მოძიებასა და შესაბამისი წინადადებების მომზადებას;

კეთილსინდისიერების საკითხებზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანალიზს.

ახალი მანდატით განსაზღვრული ფუნქციების შესრულების მიზნით, ბიუროში შეიქმნა ეთიკისა და კეთილსინდისიერების მართვის დეპარტამენტი, რომელიც ეთიკის, კეთილსინდისიერებისა და ანგარიშვალდებულების საკითხებთან დაკავშირებით უზრუნველყოფს შესაბამისი რეფორმებისა და ღონისძიებების განხორციელებას.

2024 წელს ჩატარებული სიტუაციური ანალიზით ბიურომ დააიდენტიფიცირა პრიორიტეტული მიმართულებები და აქტიურად დაიწყო მუშაობა შიდა სტრატეგიის ჩამოყალიბებაზე.

აღნიშნული მანდატის ამოქმედებისთანავე დაიწყო საკანონმდებლო ჩარჩოს შესწავლასა და ჩამოყალიბებაზე მუშაობა, GRECO-ს რეკომენდაციებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. ამ მიმართულებით GRECO-ს რეკომენდაციების შესრულების მიზნით გასულ წელს ბიურო აქტიურად თანამშრომლობდა შესაბამის საჯარო უწყებებთან.

საჯარო სექტორში ეთიკური სტანდარტების განმტკიცება და კეთილსინდისიერი გარემოს ჩამოყალიბება მოითხოვს სისტემურ და უწყვეტ მიდგომას ეთიკის საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიმართულებით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, დაიგეგმა ფართომასშტაბიანი ღონისძიებები, რომელთა ფარგლებშიც, დაინერგება სხვადასხვა საგანმანათლებლო და პრაქტიკული ინიციატივები, შეიქმნება სპეციალური სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები ეთიკისა და ქცევის ნორმების შესახებ, რომლებიც დაეფუძნება საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებს და ადგილობრივ კონტექსტს. ეს მასალები მოემსახურება როგორც საჯარო მოხელეებს, ისე სტუდენტებს, მოსწავლეებს და სხვა დაინტერესებულ მხარეებს.

აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა ონლაინ პლატფორმების, ვიდეოგაკვეთილებისა და ვირტუალური კურსების შექმნაზე, რომლებიც საჯარო მოხელეებსა და დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას მისცემს დისტანციურად მიიღონ ცოდნა ეთიკისა და ქცევის სტანდარტების შესახებ.

აღნიშნული ინიციატივები ხელს შეუწყობს ეთიკის კულტურის გაძლიერებას, საჯარო სექტორში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების დამკვიდრებას, რაც,

გრძელვადიან პერსპექტივაში, გააუმჯობესებს მმართველობით სტანდარტებს და გაზრდის საზოგადოების ნდობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

7. ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარება

7.1. კორუფციის პრევენციის ღონისძიებების გაციფრულება

თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფ განვითარებასთან ერთად, ბიუროს ეძლევა უნიკალური შესაძლებლობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა პროგნოზირებადი და მონაცემებზე ორიენტირებული მიდგომებით განხორციელდეს.

კორუფციული რისკების იდენტიფიცირება დაკავშირებულია დიდი მოცულობის მონაცემთა ანალიტიკასთან.

მნიშვნელოვანია, რომ კორუფციის პრევენციის ღონისძიებათა გაციფრულების პროცესში, კორუფციის პოტენციური შემთხვევების იდენტიფიცირება მხარდაჭერილი იყოს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით.

დღეის მდგომარეობით, ბიურო საქმიანობას ახორციელებს სხვადასხვა საინფორმაციო სისტემის მეშვეობით, კერძოდ:

- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ელექტრონული სისტემა (declaration.acb.gov.ge);
- პოლიტიკური ფინანსების ელექტრონული დეკლარირების პროგრამა (fms.acb.gov.ge);
- პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის ვებგვერდი (monitoring.acb.gov.ge);
- ბიუროს მიერ ადმინისტრირებული მხილების ვებგვერდი (mkhileba.acb.gov.ge).

ზემოაღნიშნულ საინფორმაციო სისტემებთან მიმართებით ბიურო გარკვეული გამოწვევების წინაშე დგას შემდეგი გარემოებების გათვალისწინებით:

- სისტემები შეიქმნა დროის სხვადასხვა პერიოდში, დეველოპერების სხვადასხვა ჯგუფების მიერ;

- სისტემები შექმნილია მონოლითური არქიტექტურის გამოყენებით, რაც ართულებს მათ ექსპლუატაციას და საჭიროების შემთხვევაში - ცვლილებების შეტანას;

- სისტემები ერთმანეთთან არ/ვერ ცვლიან ინფორმაციას;

- პლატფორმები, რომელთა გამოყენებითაც შექმნილია აღნიშნული სისტემები, მორალურად და ტექნიკურად მოძველდა, რაც ართულებს მათ ექსპლუატაციას;

- არ არსებობს სათანადო ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც დაინტერესებულ პირებს პროგრამული კოდის გარჩევის საშუალებას მისცემდა მისი შემდგომი მოდიფიცირებისათვის.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოების გათვალისწინებით, ბიუროს საკუთრებაში არსებული სისტემები მოწყვლადია სხვადასხვა ცვლილებებისადმი და ფაქტობრივად, შეუძლებელს ხდის მის ნორმალურ ფუნქციონირებას. მსგავსი მოცემულობა, თავის მხრივ, უდიდეს გამოწვევას ქმნის ბიუროსათვის, მასზე კანონით დაკისრებული ფუნქციების განხორციელების პროცესში.

აღნიშნულს ადასტურებს ისიც, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ელექტრონული სისტემის საკანონმდებლო ცვლილებებისადმი ადაპტაციის პროცესში, გარდაუვალი განგრძობადი ტექნიკური ჩარევების შედეგად, სისტემის კონკრეტული მოდულის ექსპლუატაცია გახდა შეუძლებელი, რამაც შეაფერხა დეკლარაციებზე ელექტრონული ფორმით წვდომის შესაძლებლობა გარე მომხმარებლების მხრიდან. წარმოქმნილ პრობლემასთან გამკლავების მიზნით, ბიუროში მიმდინარეობს შესაბამისი ტექნიკური სამუშაოები. ამ ეტაპზე უზრუნველყოფილია დეკლარანტთა შეუფერხებელი წვდომა სისტემაზე, ხოლო დეკლარაციების საჯარო ხელმისაწვდომობა, ელექტრონული ფორმით, აღდგენილი იქნება შესაბამისი ტექნიკური სამუშაოების შესრულების შემდეგ.

საკითხის ინსტიტუციურ დონეზე გადასაჭრელად, ბიუროს მიერ ადმინისტრირებული (მოძველებული) სისტემების ჩასანაცვლებლად და ერთიანი ელექტრონული საინფორმაციო სისტემების შესაქმნელად, თანამედროვე

ტექნოლოგიებისა და მიდგომების გათვალისწინებით, 2024 წლის დასაწყისში, ჩატარდა სიტუაციური ანალიზი და შეფასდა მისი შექმნის გზები და რესურსები. საბოლოოდ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შესაბამისი ტექნიკური გუნდის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც დაკომპლექტდა ბიუროში არსებული გამოცდილი კადრებითა და მოწვეული ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტებით. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად ამცირებს ხარჯებს და პროცესს გაცილებით მოქნილსა და ეფექტურს ხდის.

ერთიანი საინფორმაციო სისტემის შესაქმნელად დაწყებულია პროგრამირების თანამედროვე მიდგომებისა და სტანდარტების გამოყენება, რაც, ამავდროულად, გულისხმობს საინფორმაციო სისტემის მიკროსერვისებად დაყოფას - სერვისებზე ორიენტირებული არქიტექტურის გამოყენებით, ნაცვლად ერთიანი მონოლითური სისტემისა.

2024 წლის II კვარტალში, დაიწყო სხვადასხვა საინფორმაციო სისტემების დეველოპმენტის პროცესი, კერძოდ:

- ბიუროს ელექტრონული პორტალი;
- თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ელექტრონული სისტემა;
- მხილების სისტემა;
- საჯარო დაწესებულებებში კორუფციის რისკების შეფასების ელექტრონული სისტემა.

2024 წელს, პარალელურ რეჟიმში, დაიწყო ათამდე დამხმარე ელექტრონული სისტემის დეველოპმენტის პროცესი. დამხმარე სისტემები მოემსახურება ყველა ახლადშექმნილ/განახლებულ ელექტრონულ სისტემას, უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთიანი სტანდარტით რეგისტრაციას და მიმოცვლას ელექტრონულ სისტემებს შორის.

7.2. ერთიანი ანალიტიკური საინფორმაციო ბაზის შემუშავება

2024 წელს, სხვადასხვა ელექტრონული საინფორმაციო სისტემის დეველოპმენტის პარალელურად, დაიწყო ერთიანი ანალიტიკური საინფორმაციო ბაზის კონცეფციის შემუშავება, რომელიც გულისხმობს საჯარო, კანონმდებლობით განსაზღვრული და

ღია წყაროებიდან მიღებული მონაცემების სისტემაში აკუმულირებას შემდგომი ანალიტიკის წარმოების მიზნით, რაც ხელს შეუწყობს ფაქტებზე დამყარებული სხვადასხვა, მათ შორის, სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღებას.

ერთიანი ანალიტიკური საინფორმაციო ბაზა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის რეპორტების მომზადებას, ასევე, აღჭურვილი იქნება საოპერაციო ფუნქციითაც, რაც მნიშვნელოვნად დაზოგავს დროსა და ადამიანურ რესურსს.

გარდა საოპერაციო ფუნქციისა, ერთიანი ანალიტიკური საინფორმაციო ბაზა, სხვადასხვა ცვლადების (სისტემაში იმპორტირებული მისთვის ცნობილი მნიშვნელობები) ურთიერთკავშირის საშუალებით უზრუნველყოფს დაბალი, საშუალო და მაღალი რისკ-ფაქტორების იდენტიფიცირებას კონკრეტულ პირსა თუ შესაბამის უწყებასთან მიმართებით.

ბიუროს მიერ ერთიანი ანალიტიკური საინფორმაციო ბაზის შექმნასა და დანერგვას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე საჯარო მმართველობის პირობებში, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ფაქტებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების, რესურსების ოპტიმალურად განაწილების, სახელმწიფო სერვისების ეფექტიანობის ამაღლებისა და მოქალაქეთა მაქსიმალური ჩართულობის შესაძლებლობა.

8. ინსტიტუციური განვითარება

8.1. სასწავლო ცენტრი და სტრატეგიული თანამშრომლობა

ბიურო ხელს უწყობს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდას, მათ შორის, სათანადო საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებას. ამ მიმართულების განვითარებისთვის აუცილებელია სხვადასხვა ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან სტრატეგიული თანამშრომლობა, რომელიც ხელს შეუწყობს ბიუროს, როგორც დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტის მქონე და საზოგადოების ნდობით აღჭურვილი ორგანოს, მდგრად განვითარებას.

ანტიკორუფციული მიმართულებით ცნობიერების ამაღლება მნიშვნელოვანია საზოგადოების ყველა ჯგუფისთვის.

ამ მიზნით, 2024 წელს, ბიურომ, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, განახორციელა შემდეგი აქტივობები:

- 19 მარტს გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩატარდა საჯარო ლექცია, რომლის ფარგლებში, ბიუროს უფროსმა სტუდენტებს გააცნო ბიუროს მანდატი, ძირითადი საქმიანობა, ბიუროს როლი ევროინტეგრაციის გზაზე, სამომავლო სტრატეგიული ამოცანები და ანტიკორუფციული მიმართულებით შესწავლილი საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა ბიუროს მანდატისა და საქმიანობის, კორუფციის პრევენციისა და ანტიკორუფციული მექანიზმების შესახებ.

- 6 ივნისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს თავდაცვის აკადემიაში ბიუროს უფროსმა ჩაატარა ლექცია: „ანტიკორუფციული რეფორმა საქართველოში, ბიუროს მანდატი, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მექანიზმები, მამხილებელთა დაცვის მიმართულებით საუკეთესო პრაქტიკა, კორუფციული რისკების შეფასება და პრევენციული მექანიზმების გაძლიერება“. ლექციას დაესწრნენ თავდაცვის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საჯარო მოსამსახურეები.

- 12 ივნისს, ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, ცნობიერების ამაღლების მიზნით, ჩატარდა ლექცია. შეხვედრას დაესწრნენ აკადემიური წრის წარმომადგენლები და სტუდენტები.

- 29 ივნისს, ბიუროს ორგანიზებით და ევროპის საბჭოს პროექტის: „საარჩევნო პრაქტიკისა და პროცესის გამჭვირვალობის, ინკლუზიურობისა და სანდოობის მხარდაჭერა საქართველოში“ მხარდაჭერით, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობის მნიშვნელობის, გამოწვევებისა და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვის მიზნით, გაიმართა ბენჩ-ბარის შეხვედრა.

- 12-16 აგვისტოს, ბიურომ, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტთან (სეუ) თანამშრომლობით განახორციელა პროექტი „ანტიკორუფციული საზაფხულო სკოლა“, რომლის მიზანი იყო, საქართველოს მასშტაბით, სტუდენტებისთვის ანტიკორუფციული მექანიზმების შესახებ ცნობიერების ამაღლება.

პროექტში მონაწილეობა შეეძლო საქართველოში ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების იურიდიული ფაკულტეტის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს. პროექტის მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა კონკურსის წესით (რეგისტრირებული კონკურსანტების რაოდენობა სულ - 170, დაფინანსებული მონაწილეთა რაოდენობა - 20).

ანტიკორუფციული საზაფხულო სკოლის ფარგლებში, შემუშავდა 23-საათიანი სასწავლო პროგრამა. ტრენინგები ჩატარდა საერთაშორისო და ადგილობრივი ტრენერების მიერ შემდეგ თემატიკაზე: ანტიკორუფციული რეფორმა საქართველოში, ადმინისტრაციული მართვის კულტურა: ევროპული პერსპექტივა და ქართული გამოწვევები, პოლიტიკური ფინანსების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელობა, პოლიტიკური კორუფციის გამოვლენა და ადმინისტრაციული სამართალწარმოების თავისებურებანი, მხილების არსი და განხორციელების ფორმები საჯარო სამსახურში, ეკონომიკური ინტერესების განცხადება და გამოქვეყნება, ეთიკა და კეთილსინდისიერება, მხილება საჯარო სამსახურში და გამოძიება, ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია და კორუფციული რისკების შეფასება.

ანტიკორუფციული ბიუროსთვის, თავისი უფლებამოსილების წარმატებით განსახორციელებლად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.

2024 წლის განმავლობაში ბიუროსა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო დაწესებულებებთან გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის შემდეგი მემორანდუმები:

- 8 მარტს ბიუროსა და რეგენსბურგის უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომლის ფარგლებში, მხარეები ერთობლივად შეიმუშავებენ საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით პროექტებს, რაც ხელს შეუწყობს ანტიკორუფციული სამართლებრივი მექანიზმების გაძლიერებასა და დარგის განვითარებას. შემუშავდება ბიუროსთვის პრიორიტეტული სამეცნიერო-კვლევითი საჭიროებები და დაიგეგმება საგანმანათლებლო პროექტები.

- 19 მარტს ბიუროსა და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტს შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „ანტიკორუფციულ

საკითხებზე საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის, სამომავლო თანამშრომლობის და არსებული პრაქტიკის გაზიარების თაობაზე“.

- 25 მარტს საქართველოს ბიზნესასოციაციასა და ანტიკორუფციულ ბიუროს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის მიზანია კერძო სექტორში გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ხელშეწყობა, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში კორუფციული რისკების შეფასებისა და მართვის გაძლიერება, კორუფციულ რისკებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება, არსებული პრაქტიკის გაზიარება და ამ მიმართულებით თანამშრომლობის გაძლიერება.

- 17 ივნისს ანტიკორუფციულ ბიუროსა და უზბეკეთის რესპუბლიკის ანტიკორუფციული სააგენტოს დელეგაციას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.

8.2. ადამიანური რესურსები და პროფესიული განვითარება

ანტიკორუფციული ბიურო აქტიურად უზრუნველყოფს თანამშრომელთა გადამზადებას პროფესიული განვითარების მიმართულებით. გასულ წელს გადამზადდა ბიუროს 50-მდე თანამშრომელი. პროფესიული გადამზადების კურსი მოიცავდა თანამშრომლების ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებში ჩართულობას. დასაქმებული პირები დაესწრნენ სხვადასხვა ტრენინგებს, სემინარებს და კურსებს.

ბიუროს თანამშრომლების მონაწილეობა სხვადასხვა პროექტში, გამოცდილების და ცოდნის გაზიარება, პრაქტიკულ, სასწავლო და სასერტიფიკატო კურსებზე დასწრება ხელს უწყობს დასაქმებული პირების კვალიფიკაციისა და ცოდნის ამაღლებას.

➢ გასული წლის განმავლობაში ბიუროს თანამშრომლები პროფესიულად გადამზადდნენ შემდეგი მიმართულებებით:

- ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა სემინარი - „კორუფციის რისკის შეფასებისა და მართვის

ინსტრუმენტების სახელმძღვანელო მითითებები. აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში არსებული პრაქტიკა და მაგალითები“;

- ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის: „საქართველოში კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისა და ბრძოლის ინსტიტუციური და ოპერატიული ჩარჩოების კონსოლიდაციის გაძლიერება (PGGIII)“ პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი - „ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება და იმპლემენტაცია“;

- სემინარი - მძიმე დანაშაულის, ორგანიზებული დანაშაულისა და მაღალი დონის კორუფციის ფაქტების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის ელექტრონული სისტემის (Data Track Record) შესახებ;

- UNODC ორგანიზებით, “Innovative policy solutions to mitigate money laundering risks of virtual assets” პროექტის ფარგლებში გაიმართა კრიპტო ვალუტის გამოძიების საბაზისო კურსი;

- ჩატარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მონაცემთა დაცვის ოფიცრის კურსი;

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სასწავლო ცენტრთან - „საჯარო აუდიტის ინსტიტუტთან“ თანამშრომლობით შედგა პროგრამა - „გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები საჯარო სამსახურში“;

- GIZ-ის, ჰელსინკის კომიტეტისა და ჰააგას აკადემიის ორგანიზებით, ჩატარდა ტრენინგი: “Integrity Policy in the Civil Service”;

- გაიმართა საერთაშორისო ანტიკორუფციული კონფერენცია (IACC);

- თავდაცვის სამინისტროს ორგანიზებით და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით, ნატოს - სამეკავშირეო ოფისში (NLO) ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „თაღლითობის რისკების შეფასება და მართვა“;

- გაიმართა სასერტიფიკაციო კურსი სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის სასწავლო ცენტრის ორგანიზებით.

8.3. ფინანსური რესურსები

➢ ანტიკორუფციული ბიუროს სახელმწიფო ბიუჯეტი 2024 წელს შეადგენდა 8 500 000 ლარს.

➢ ბიუროს ხარჯები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს სულ 5 140 838.40 ლარს, აქედან:

 ხარჯები - 4 886 373 (ლარი), აქედან: შრომის ანაზღაურება - 1 441 521.62 (ლარი);

 არაფინანსური აქტივების ზრდა - 254 465.40 (ლარი).

2024 წელს ანტიკორუფციული ბიუროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების მიმართულებით გაფორმდა 99 ხელშეკრულება, ჯამში: 958 008.38 ლარის ოდენობით.

8.4. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

2024 წლის განმავლობაში ბიუროში საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით შემოვიდა 140 წერილი, რომლებზეც, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში, გაცემულ იქნა შესაბამისი პასუხები.